საქართველოს ბიზნესის აკადემია-SBA
აცხადებს კონკურსს
დაცვის ინსპექტორის თანამდებობების დასაკავებლად

ინსპექტორის ფუნქციებია:

1. დაწესებულების უსაფრთხოების პოლიტიკისა და პროცედურების შემუშავებაში მონაწილეობა, რაც ითვალისწინებს სტუდენტთა და პერსონალის უსაფრთხოებას და შენობაში პირთა დაშვების რეჟიმს;
2. სახანძრო ევაკუაციის პროცედურებისა და ევაკუაციის გეგმის შედგენაში მონაწილეობა;
3. დაცვის ინპექტორთა მორიგეობის გრაფიკის შედგენაში მონაწილეობა;
4. შენობის ინტერიერისა და გარე პერიმეტრის ფიზიკურ დაცვა 24 საათის განმავლობაში;
6. აკადემიაში სამუშაო საათების დაწყებამდე, ფანჯრებზე მიმაგრებული ყველა რკინის გისოსისა და შენობის ყველა საევაკუაციო გასასვლელი კარების გაღება;
7. დაწესებულებაში არსებული ცეცხლმაქრი საშუალებების ვადიანობისა და სახანძრო სიგნალიზაციის გამართულობის კონტროლი, თვეში ერთხელ;
8. არანაკლებ წელიწადში ორჯერ ევაკუაციის იმიტაციის პროცესის ჩატარებაში მონაწილეობა;
9. სამუშაო დღის დასრულებისას ელექტროენერგიის, გაზისა და წყლის გაყვანილობის გამართულობის შემოწმება და მათ უყაირათო ხარჯვის აღკვეთა;
10. დღის განმავლობაში სისტემატურად შენობის ინტერიერის შემოვლა და შემოწმება;
11. რაიმე საფრთხის არსებობის შემთხვევაში, დაწესებულების ადმინისტრაციის და შესაბამისი სამსახურების იფორმირება;
12. პირთა შენობაში დაშვების კონტროლი, საჭიროების შემთხვევაში საშვთა სისტემის გამოყენება;
13. ქმედითი ღონისძიებების შესრულება შენობასა და მიმდებარე პერიმეტრზე საზოგადოებრივი წესრიგის დასაცავად და დარღვევათა აღსაკვეთად;
14. ქმედითი ღონისძიებების შესრულება შენობასა და დაწესებულების ტერიტორიაზე თამბაქოს მოწევისა და თამბაქოს მოხმარების შედეგად არსებული კვამლის, ფერფლის, ნამწვის არსებობის, აგრეთვე ჩილიმის განთავსების აღსაკვეთად;
15. ხანძრის ან სხვა დაუძლეველი ძალის მოქმედების შემთხვევაში, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში მონაწილეობა შენობიდან პირთა ევაკუაციის პროცესში;
16. შეზღუდული შესაძლებლობის პირთათვის აკადემიის ფარგლებში არსებული სერვისების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;
17. დაცვისა და უსაფრთხოების სისტემების გამართული მუშაობის უზრუნველსაყოფად წინადადებების შემუშავების პროცესში მონაწილეობა;
18. აკადემიის ფუნქციებისა და მიზნებიდან გამომდინარე, თანამშრომლობა აკადემიის სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან;
19. საქართველოს კანონმდებლობითა და აკადემიის შიდა მარეგულირებელი აქტებით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებებისა და ხელმძღვანელის სხვა დავალებების შესრულება, რომელიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას.

სამუშაო გრაფიკი: ცვლაში, ყოველ მესამე დღეს.

მოთხოვნები კანდიდატების მიმართ: მამაკაცი, ასაკი 50 წლამდე, შინაგანად და გარეგნულად მოწესრიგებული, სასურველია გავლილი ჰქონდეს სამსახური ძალოვან სისტემაში, უპირატესობად ჩაითვლება უცხო ენის და კომპიუტერის ცოდნა. კანდიდატების შერჩევისას უპირატესობა ენიჭება კრწანისის რაიონში მცხოვრებ კანდიდატებს.

<u>შეჩევის ეტაპები:</u>

I - ეტაპი

პირველ ეტაპზე აპლიკანტებმა უნდა გამოაგზავნონ რეზიუმე (CV) 2020 წლის 15 ივლისიდან 2020 წლის 30 ივლისის ჩათვლით მისამართზე: info@sba.edu.ge

II- ეტაპი

კანდიდატებთან გასაუბრებები წარიმართება ეტაპობრივად. შერჩეულ კანდიდატებს შედეგები ეცნობებათ ტელეფონით და გამოცხადდნენ გასაუბრებაზე

წარმოსადგენი დოკუმენტაცია: პირადობის მოწმობის ასლი, ორი ფოტოსურათი, ცნობა ნასამართლეობის შესახებ, არსებობის შემთხვევაში სამუშაო გამოცდილების ან ნამსახურეობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, განათლების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

შრომის ანაზღაურება: თვეში 450 ლარი საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადისა და შენატანების ჩათვლით

დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვირეკეთ ტელეფონზე: 2 40-34-40; 599 97 57 72